

ქ.ქუთაისში ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო
გადაყვანაზე ნებართვის გაუქმების შესახებ

ქ.ქუთაისის მერის 2010 წლის 24.11. N1847 ბრძანების შესაბამისად, ქ.ქუთაისში, ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე M₃ კატეგორიის N8 /სანებართვო მოწმობა N107/ და N9 /სანებართვო მოწმობა N108/ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე, შპს „სიტი ლაინზე“ გაიცა ნებართვები. აღნიშნული მარშრუტების არარენგაბელობის გამო, შპს „სტილი ლაინის“ ღირექციაშ მომართა ქ.ქუთაისის მერიას N8 და N9 საავტობუსო მარშრუტებზე ნებართვების გაუქმების მოთხოვნით.

„თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2007 წლის 28 მარტის N55 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ ქუთაისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემისა და მომსახურების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.ქუთაისის საკრებულოს 2009 წლის 24 ივნისის N215 დადგენილების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ და „პ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაუქმდეს სანებართვო მოწმობები N107 და N108 ქალაქ ქუთაისში ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე M₃ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე N8 და N9.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა /ვ.კლდიაშვილი/ განახორციელოს სანებართვო მოწმობების ჩაბარების კონტროლი.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე დ.ანდლუაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

6. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევლორაძე